

ეროვნული პროფესიული საბჭო

სამუშაო შეხვედრა

შეხვედრის დრო: 3.12.2013 17:00 სთ

შეხვედრის ადგილი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის მონაწილეები:

№	სახელი, გვარი	თანამდებობა
1.	თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
2.	თეა გულუა	საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
3.	ნიკოლოზ მესხიშვილი	სოცილური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი
4.	მარინა ჟვანია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი
5.	თეა სიფრაშვილი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
6.	მიხეილ კორძაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
7.	გიორგი მიჩიტაშვილი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
8.	ლელია ახმეტელაშვილი	სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორი
9.	ლია ზამბახიძე	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
10.	გივი კახიშვილი	შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი
11.	ჟაკო ჯორჯაძე	საქართველოს ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი
12.	დანიელ დავითაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
13.	ქეთევან ჯაყელი	მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი
14.	თამარ სამხარაძე	პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
15.	თიკა სალაყაია	მონიტორინგის სამმართველოს უფროსი
16.	ანა მჭედლიშვილი	სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
17.	ნათია გვირგვინი	სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
18.	ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეხვედრის მდივანი ანა მჭედლიშვილი

19.	ჯუმბერ გაბრიელაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი
20.	ანა ტუხაშვილი	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
21.	ანა კვერნაძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
22.	ლელა წიფურია	თსუ
23.	მაია ჩიხლაძე	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
24.	ნინო ელბაქიძე	TPDC
25.	ნინო ქებურია	TPDC

საბჭოს სამუშაო შეხვედრას ხელმძღვანელობდა ქალბატონი თამარ ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, რომელმაც მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ დღევანდელ შეხვედრა პრაგმატული ხასიითის იქნება და ვისაუბრებთ რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ბენეფიციარისთვის - მოსწავლისთვის, მასწავლებლისთვის, კოლეჯისთვის, მოდულურ სისტემაზე გადასვლას.

ბატონმა დენის დავითაშვილმა მოიწონა შეხვედრა და აღნიშნა რომ ანი ქიტიაშვილი - ETF-ის ექსპერტი, რომელიც მუშაობს სოციალური პარტნიორობისა და ეროვნული პროფესიული საბჭოს კონცეფციაზე, უნდა ესწრებოდეს მიმდინარე შეხვედრას.

დენის დავითაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან, მისი მოსაზრებით საჭიროა საკითხების მთელი ციკლის განხილვა - არა მხოლოდ მოდულარული სისტემის, არამედ, პირველ რიგში საკვალიფიკაციო ჩარჩოსი და სტანდარტების, რომლებიც წინ უსწრებენ მოდულების შემუშავებას.

ქალბატონმა თეა სიფრაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კონცეფცია, ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესზე. ქ-ნმა თეა სიფრაშვილმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტა თუ რას გულისხმობს დაკუმ მეთოდოლოგია - სტანდარტების შემუშავების მეთოდოლოგია და ხაზი გაუსვა, რომ სტანდარტების შემუშავებაში ჩართულები არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ სტანდარტებს ახორციელებენ ყოველდღიურ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიქმნება მოდულების ბანკი, რომლით სარგებლობის საშუალება მიეცემათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც შეძლებენ მოდულების გამოყენებით ააწყონ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლის ვალიდაციაც მოხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

ქ-ნმა ქიტიაშვილმა იკითხა, თუ გულისხმობს ვალიდაცია უკვე არსებული ხარისხის მექანიზმების ჩანაცვლებას, რაზეც თეა სიფრაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული პროცედურა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ავტორიზაცია/აკრედიტაციის ჩანაცვლებას.

შეხვედრის მიმდინარეობისას დაისვა კითხვა ტრანსფერული უნარების თაობაზე. ქ-ნმა თეამ დეტალურად განმარტა და აქვე ქალბატონმა მარინა ჟვანიამ აღნიშნა, რომ ტრანსფერული უნარების არსებობა სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს, რადგან ეს გათვალისწინებული იყო

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და ასახულია საკანონმდებლო დონეზე. სიახლე ამ მიმართულებით ეხება იმას, რომ ტრანსფერული უნარები ამ დრომდე თუ ინტეგრირებული იყო საგნებად, ახლა დამოუკიდებელი მოდულები შემუშავდება.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა, სთხოვა თეა სიფრაშვილს, რომ უფრო დეტალურად ესაუბრა კომპეტენციებისა და მოდულების მსგავსება-განსხვავების შესახებ. თეამ განმარტა, რომ კომპეტენცია გულისხმობს ცოდნისა და უნარების გამოყენებას ამა თუ იმ საქმიანობის დასრულებისთვის.

ქ-ნმა ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას, როდესაც მათ 1-2 კვირიანი ტრეინინგი სჭირდებოდათ სამკერვალო მიმართულებით, სწორედ ეს ტრეინინგ-მოდულები გამოიკვეთა ცალკეულ მოდულებად.

ბატონი დენის დავითაშვილის მოსაზრებით, მოდულებით მოხდება პროგრამების დაქუცმაცება, რაც საქართველოს შრომის ბაზრისთვის არაა საჭირო.

თეა სიფრაშვილმა აღნიშნა, რომ მოდულების ერთიანობას გაჰყავს პირი კვალიფიკაციაზე. ქალბატონმა მარინა ჟვანიამ აღნიშნა, რომ საჭიროა ტრანსფერი ხდებოდეს საბაკალავრო დონეზე, თუმცა ამ ეტაპზე, საკანონმდებლო ბაზა არაა ამისთვის მზად.

შესაძლებელია ყოველი ახალი მოდულის დამატება გულისხმობს ახალი კომპეტენციის შექმნას.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება - იქიდან გამომდინარე, რომ მოდულური საგანმანათლებლო სისტემა სიახლეს წარმოადგენს, საჭიროა ინტენსიური სამუშაო შეხვედრების გამართვა, სადაც კიდევ უფრო დაიხვეწება იდეა, ეს ყოველივე კი მოსალოდნელ რისკს შეამცირებს. აქვე გამოითქვა მოსაზრება საინფორმაციო სახის შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებით, რათა დაინტერესებულ მხარეებს სწორად ჰქონდეთ ინფორმაცია აღნიშნულ სისტემასთან დაკავშირებით.